

ქართული საეკლესიო გალობა

ნმ. იოანე ოქროპირის ნაწიგა

ველათისა და შემოქმედის სკოლები

V - ტომი

Georgian Church Chant

The Divine Liturgy

of St. John Chrysostom

Gelati and Shemokmedi

Schools

თბილისი

2008

Tbilisi

ქართული საეკლესიო გალობა V ტომი წარმოადგენს ძველი ქართული საეკლესიო (პროფესიული) მუსიკის ნიმუშების კრებულს. მასში შესულია წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიის გელათისა და შემოქმედის სკოლის საგალობლები. მუსიკალური რედაქტორის მიერ წარმოდგენილია შემოქმედის სკოლის ის ნიმუშები, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს სანოტო თუ აუდიო ჩანაწერების სახით. ასევე, გამოცემას თან ერთვის სანოტო დანართი და აუდიო დისკი, რომლებშიც ქართულ ბგერათწყობაში საგალობლების კომპიუტერული და აუდიო ვერსიებია წარმოდგენილი (არტემ ერქომაიშვილისა და მუსიკალური რედაქტორის ხმები). ეს არის გამოცემის სიახლე, რომელიც მნიშვნელოვანია საგალობლების პრაქტიკული და მეცნიერული შესწავლისათვის.

This collection, Georgian Chant Volume V, contains a selection of medieval Georgian liturgical chants from the service of St. John Chrysostom. These chants represent the oral traditions inherited at the Gelati Monastery Chant School, as well as the Shemokmedi Chant School. Several liturgical chants that did not survive in either audio recordings or written transcriptions for the Shemokmedi repertory have been carefully arranged by the editors and appear in this volume. In addition, the editors offer an audio recording and transcriptions of both computerized and audio samples of the Georgian tuning system (with vocal samples by Artem Erkomaishvili and Malkhaz Erkvanidze). The volume contains advanced chant variants that will hopefully be relevant for both the practical study of Georgian chant, and the growing scholarly interest in this important repertory.

შემდგენელი და მუსიკალური რედაქტორი: **მალხაზ ერქვანიძე**

The collection compiled and edited by: **Malkhaz Erkvanidze**

რეცენზენტები: **ნოდარ მამისაშვილი**
ანზორ ერქომაიშვილი

Reviewers: **Nodar Mamisashvili**
Anzor Erkomaishvili

თანადგომისა და ფინანსური უზრუნველყოფისათვის დიდ მადლობას ვუხდით:
ბატონ ივანე ჩხარტიშვილს და ბატონ შალვა (კოკი) ცეცხლაძეს.
მადლობას ვუხდით თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას

We would like to thank for their support and financial assistance:
Ivane Chkhartishvili and Shalva Tsetskhladze.
We would like to thank Tbilisi State Conservatoire.

© სრულიად საქართველოს საპატრიარქოს
საეკლესიო გალობის ცენტრი
© მალხაზ ერქვანიძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში „ქართული გალობა – V ტომი“ შევიტანეთ ქართული გალობის ორი სკოლის — გელათისა და შემოქმედის სკოლების – წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიის გამშვენებული კილოს საგალობლები. კრებული, შესაბამისად, ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მთლიანად ეყრდნობა ანტონ დუმბაძის, დიმიტრი ჭალაგანიძის, ივლიანე წერეთლის, რაჟდენ ხუნდაძის, ასევე მელქისედეკ ნაკაშიძისა და ნესტორ კონტრიძისაგან გადმოცემულ და ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზე გადაღებულ საგალობლებს, რომლებიც კრებულის სახით XIX-ის ბოლოს გამოიცა;¹ მეორე ნაწილში კი შესულია არტემ ერქომაიშვილის მიერ გადმოცემული შემოქმედის სკოლის საგალობლები.²

უნდა ითქვას, რომ ასეთი კრებულის გამოცემა მორწმუნე მგალობლების თხოვნამაც განაპირობა. დღეს, მადლობა ღმერთს, ქართული გალობის აღდგენის საქმე ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის გახსნა (2006 წ.), რომელიც დღემდე არარსებულ შესაძლებლობებს გვიქმნის და შესაბამის შედეგებსაც გვპირდება. დღევანდელ მგალობლებს უჩნდებათ მოთხოვნილება მეტი შესწავლისა, სხვადასხვა ვარიანტების ძიებისა, უფრო რთული ნიმუშების ათვისებისა. ეს კარგია, მაგრამ სამგალობლო საქმის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა მაინც მგალობლის დანიშნულების სწორად გააზრებაა – თუ რა და როგორ მოეთხოვება მას. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ კარგი მგალობელიც მარტო ვერაფერს გახდება, თუ მისი გალობა ჰარმონიულ კავშირში არ იქნა მღვდლისა და მედავითნის სათქმელ კილოსთან, რაც შეზავებული უნდა იყოს აუჩქარებელ, დინჯ და კრძალულებით აღსავსე ღმრთისმსახურებასთან. ეს კი ჩვენს ეკლესიაში დღესდღეობით დიდი პრობლემაა. სამწუხაროდ, მიძნელებდა დავასახელო ისეთი ტაძარი, რომელშიც ღმრთისმსახურება შესაბამის დონეზე დგას. ნათქვამია: „როგორც ითხოვ, ისე მოგეცემაო.“ ღმრთისმსახურებისადმი ჩვენი დღევანდელი დამოკიდებულება უაღრესად არადამაკმაყოფილებელია. იგი არის უგულო, ზერელე და უპასუხისმგებლო. მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი შინაური აშლილობა-მოშლილობისა არის სწორედ ასეთი ღმრთისმსახურება. გულმოდგინე ლოცვამ, კითხვამ და ხარისხიანმა გალობამ ზევით ღმერთი უნდა ჰყოს ღმობიერი ჩვენთვის წყალობის მოსაცემად, ხოლო ტაძარში მდგომი მრევლი აღძრას ღმრთისადმი სასოებად, სინანულად, მადლობად თუ სიხარულად. გალობა ხომ იმისთვისაცაა ეკლესიაში დადგენილი, რომ ღმრთისმსახურებისას ქრისტიანებს დაეხმაროს, ერთი მხრივ, ამ დადებითი სულიერი გრძნობების მოპოვებაში და, მეორე მხრივ, რათა ლოცვის ხანგრძლივობა შეუმჩნევლად გაატარებინოს. ღმერთმა მოგვცეს ქართველებს ერთიანი ქრისტესმიერი ზრახვა და დალოცვილ ქართულ მრავალხმიანობისა და ქართული მუსიკალური კილოს სრული გათავისება.

* * * * *

ჩვენ მიერ გამოცემულ „ქართული გალობის“ წინა ტომებში შევეხეთ იმ ძირითად პრობლემებს, რასაც საწარმო კრებულების გამოცემისას ვაწყდებით. აღნიშნული სიძნელებები არც ამ კრებულისთვის იყო უცხო. მათ ქვემოთ განვიხილავთ.

1. ქართული გალობა, ლიტურგია, პარტიტურა №1, ტფილისი, 1895 წ.

2. აუდიოჩანაწერი ინახება თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის ფონოარქივში.

გელათის სკოლა. ფ. ქორიძის კრებული. შესრულებული სამუშაო

როგორც ვიცით, ფილიმონ ქორიძე ძველი მაგალობლებისგან გადმოცემულ საგალობლებს თავდაპირველად თავის ფისგარმონიაზე აჟღერებდა და ამის შემდეგ გადაჰქონდა ნოტებზე. მის სანოტო ხელნაწერებს (რომლებიც თავისთავად უდიდესი ეროვნული განძია), მიუხედავად ჩამწერის დიდი ძალისხმევისა, საგალობლები შეძლებისდაგვარად სწორად გადაეტანა ხუთხაზიან სისტემაზე, მაინც ახლავს მთელი რიგი ხარვეზები. იშვიათია შემთხვევა, როცა საგალობლის კილო სწორად არის დადგენილი, ანუ ხუთხაზიან სისტემაში შეძლებისდაგვარად სწორად არის ნათარგმნი.

1. კილოს პრობლემა

შეძლებისდაგვარად, ყველა საგალობელს მოეძებნა შესაბამისი კილო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყველა „რომელნი ქერუბიმთა“ და „და ვითარცა“. ეს ორი საგალობელი ტექსტობრივად ერთ მთლიანს წარმოადგენს, ხოლო მუსიკალურად უმეტესად განსხვავებულ ჰანგზეა მოცემული. მიუხედავად ამისა, მათ ერთი მუსიკალური კილო აერთიანებს. გამოწვევისაა ღ ხმის ნიმუში – საგალობლის ორივე ნაწილი ჰანგითაც და, მითუმეტეს, კილოურადაც ერთ მთლიანს წარმოადგენს (პარტიტურა №1, გვ. 96; ჩვენთან იხ. გვ. 67). აქ ქორიძეს რამდენიმე ხარვეზი აქვს დაშვებული, კერძოდ: ჰანგი 1 #-ით აქვს ჩანერილი – უნდა იყოს 3 #, მოცემული ღ ხმის კანონზომიერებებიდან გამომდინარე; მუხლი „საიდუმლოდ“ იწყება ნოტა რედან – უნდა იწყებოდეს მიდან; და ბოლოს, „რომელნი ქერუბიმთა“ ბოლო ბგერასა და „და ვითარცას“ პირველ ბგერას შორის ინტერვალი არის კვარტა. კვინტიდან დაწყების შემთხვევაში კი მეორე საგალობელი გაგრძელდება პირველის დამამთავრებელ კილოში, რითაც ორივე მათგანის კილოური მთლიანობა დაცული იქნება.

მაგალობლებისთვის კარგად ნაცნობი „და ვითარცა“ (პარტიტურა №1, გვ. 94; ჩვენთან გვ. 65) ანჩისხატის ტაძრიდან გავრცელდა ნოტა რედან 1 #-ით. ასეთივე სახითაა შეტანილი ჩვენ მიერ გამოცემულ I ტომში. კრებულზე მუშაობისას დაკვირვებამ ცხადყო, რომ სწორი იქნება იგი რედან 5 #-ით იგალობებოდეს, ვინაიდან „რომელნი ქერუბიმთა“ მთავრდება სწორედ რე#-ზე (აქ ქორიძეს სწორად აქვს განსაზღვრული „და ვითარცას“ საწყისი ტონი). ისიც საინტერესოა, რომ აღნიშნულ საგალობელს, მსგავსად სხვა ორისა (იხ. ჩვენთან გვ. 61 და 70), ღ ხმის ტროპარის ჰანგის მელოდიური ფორმულები გააჩნია (სამივე მათგანი ერთ ჰანგზე იგალობება), რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს დაბოლოებებში, ანუ იქ, სადაც იწყება 3-გზის „ალილუია“. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია დავწეროთ 5 # რედან ან ვიგალობოთ 1 #-ით მიდან.

„ღირს არს და მართალ“ (პარტიტურა №1, გვ. 114) ქორიძეს დოდან 4 ხ-ით ჩაუწერია – უნდა იყოს 2 ხ-ით. ეს არის „სულო ჩემო“ ჰანგი, ასევე საგალობლის „უფალო, რომელმან“ (რომლის ფონოჩანაწერი არტემ ერქომაიშვილისგან შემოგვრჩა) ხმაც.

უხეში ცდომილებებია საგალობელში „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“. წარმოდგენილი ოთხი ვარიანტი ქორიძეს ერთსა და იმავე ხმაში აქვს მოცემული, ორ მათგანს ნოტა სიხ-დან გვთავაზობს, ხოლო დანარჩენ ორს დოდან. სამ შემთხვევაში საგასაღებო 2 ხ-ს ხმარობს, ხოლო მეოთხისთვის მიუწერია 3 ხ, რაც არასწორია. აქედან კარგად ჩანს, რამდენად პირობითია მის მიერ წარმოდგენილი საგასაღებო და ალტერაციის ნიშნები. ასევე სიხ-დან დაწყებული მუხლი „წმიდათა შორის“, რომელიც დოდან იწყება (პარტიტურა №1, გვ. 37), ავტომატურად ჩაუსვამს დო-დან დაწყებული იგივე საგალობლის შესაბამის ადგილას (უნდა დაეწერა რე-დან), რამაც მოცემულ საგალობელში კილოს ბუნებრივი დინება დაარღვია (პარტიტურა №1, გვ. 40).

„იხარებს სული“ – გასაღებში 1 ხ აქვს, სინამდვილეში არ უნდა იყოს.

„მხოლოდ-შობილი“ მოცემულია უნიშნოდ, ითარგმნება 3 #-ით.

„სასუფეველსა შენსა“ – იხ. ქართული გალობა, IV ტომი, წინასიტყვაობა.

„მამასა და ძესა“ (პარტიტურა №1, გვ. 106) წერია 1 #-ით – უნდა იყოს 3 #-ით. ამის შესახებ ცოტაოდენი ვთქვათ. როგორც ვიცით, ძველად გალობის შესწავლა იწყებოდა სადა კილოდან, ანუ, სხვაგვარად, კილო-გალობიდან. წმ. ექვთიმე კერესელიძე „შთასახედში“ (ხელნაწერი Q-674, გვ. 189) აღნიშნავს, თუ კილო დაიკარგა, გამშვენებას ვერაფერს გაუგებო. ძველი სანოტო ჩანაწერების, განსაკუთრებით კი გამშვენებული საგალობლების რედაქტირებისას სწორი კილოს დადგენა ბევრადღა განპირობებული ამ თუ იმ საგალობლის ძირის, ანუ კილო-გალობის გამოვლენით. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული „მამასა და ძესა“ შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. იგი იმდენად გამშვენებულია, რომ ძალზე ძნელია მისი ღერძის – კილო-გალობის პოვნა. ერთი შეხედვით, თითქოს იგი რალაც განსაკუთრებულ ხმაზეა აგებული. სინამდვილეში კი ჩვეულებრივი, სადა ვარიანტის გამშვენებულ სახეცვლილებას წარმოადგენს (იხ. ქართული გალობა, ტ. I, გვ. 256).

მაგ. №1

წყნ. p სპ. მოძრ. And.

№ 78.

მამასა და ძესა.

მა - მა - სა და ძე - სა

და წმი - და - - სა სულ - სა

სა - მე - ბა - სა ერთ - არ - სე - ბა - სა და გა - ნუ - ყო -

- ფელ - - - - - სა.

ახლა გთავაზობთ რედაქტირებულს, რომელშიც I ხმას თვალსაჩინოებისთვის ზედა შტილებით სადა კილოს ვარიანტი მივუწერეთ.

მაგ. №2

მამასა და ძესა

Father, Son

♩ = 83

77

მა - მა - სა და ძე - სა და
ma - ma - sa da dze - sa da

წმი - და - სა სულ - სა, სა - მე - ბა - სა ერთ-არ - სე - ბა - სა
ts'mi - da - sa sul - sa, sa - me - ba - sa ert - ar - se - ba - sa

შენელებით

და გა - ნუ - ყო - ფელ - სა.
da ga - nu - q'o - pel - sa.

ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია. ამავე ჰანგზეა მოცემული წირვის რიგი საგალობლებისა: „და სულისაცა“, „ალილუია“, „ერთ არს წმიდა“ და „დიდება შენდა, უფალო“. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ვარიანტიც, „მამასა და ძესა“ მსგავსად, ისეა გამშვენებული, რომ კილო-გალობა თითქმის არ ჩანს, განსაკუთრებით საგალობლის II ნაწილში. თანაც ქორიძეს ნოტა ლადან 1 #-ის ნაცვლად 2 ხ უწერია (პარტიტურა №1, გვ. 62). ჩვენ სიმაღლე შევცვალეთ და დავწერეთ დოდან 2 ხ-ით (იხ. ჩვენთან გვ. 47).

მაგ. №3 (იხ. ფ. ქორიდე, პარტიტურა №1, გვ. 62):

№ 43.

დიდება შენდა უფალო

დი - დე - ბა შენ - და უ - ფა - - - ლო

Andan. საშ. მოძ.

დი - დე - ბა შე - ნ - და.

მაგ. №4 - რედაქტირებული. I ხმა მოცემულია ორ ვარიანტად.

ზედა შტილებით გამოყოფილია სადა კილო:

დიდება შენდა, უფალო

Glory to thee, O Lord

♩ = 73

43

დი - დე - ბა შენ - და, უ - ფა - ლო, დი - დე - ბა შე - ნ - და.

დი - დე - ბა შენ - და, უ - ფა - ლო, დი - დე - ბა შე - ნ - და.

di - de - ba shen-da, u - pa - lo, di - de - ba she - n - da.

ქორიდის მიერ დაბალ ტესტიტურაში ჩანერილი ზოგი საგალობელი („წმიდაო ღმერთო“ – გვ. 53, „და ვითარცა“ – გვ. 102, „მრწამსი“, „ნათელი ჭეშმარიტი“, „აღავსე პირი“, „სახელითა უფლისაითა“, „იყავნ“, „დიდება . . . ან და“) წინამდებარე კრებულში მოცემულია შესაბამის სიმალლეზე.

2. 4/4 ზომის პრობლემა

გამოვლენილია შემდეგი ცდომილებები:

- ა) „ულხინე“, გვ. 6, ბოლო აკოლადა: პირველ ხმაში აღმავალი მოძრაობა მეოთხედებითაა მოცემული. უნდა იყოს მერვედებით (იხ. ჩვენთან გვ. 7, I აკოლადა);
- ბ) „ულხინე“, გვ. 7, I აკოლადა: მეორე ხმას კადანსის წინ მეოთხედი უზის; უნდა იყოს ნახევრიანი. შესაბამისად გასწორდა I ხმაც და ბანიც (იხ. ჩვენთან გვ. 7, II აკოლადა);
- გ) „იხარებს სული“, ბოლოს (გვ. 14): I ხმაში ბოლო ნოტები დო-რე-ფა# არის მეოთხედებით, უნდა იყოს დო ნახევრიანი და რე-ფა# მეოთხედები (იხ. ჩვენთან გვ. 12, ბოლო აკოლადა);
- ე) გვ. 100, III აკოლადა, „სამწმიდისა არსებისა“: მარცვალ „სე“ მოდის ნოტა რეზე, უნდა მოდიოდეს მიზე. რე სრულიად ზედმეტი (იხ. ჩვენთან გვ. 69, II აკოლადა);
- ვ) გვ. 124, II აკოლადა: ბოლო ტაქტში ერთი თვლა და ერთი ბგერა აკლია. თითქოს არაფერი, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალია.

მაგ. №5



შესწორებული ვარიანტი იხ. წინამდებარე კრებულში, გვ. 85, I აკოლადა. ასეთი მაგალითი არაერთია.

3. ცდომილებები ხმათა მოძრაობაში:

1. ფ. ქორიძე, პარტიტურა №1, გვ. 11, მოძრაობა II აკოლადის შუა ხმაში.

მაგ. №6



შესწორებული ვარიანტი იხ. წინამდებარე კრებულში, გვ. 9, V აკოლადის შუა ხმა.

2. ფ. ქორიძე, პარტიტურა №1, გვ. 22, IV აკოლადა, ფრაზა – „დასთრგუნა ერთი“:

მაგ. №7



გასწორდა ტექსტობრივად და მუსიკალურად. იხ. წინამდებარე კრებულში გვ. 18, IV აკოლადა.

3. ფ. ქორიძე, პარტიტურა №1, გვ. 37, II აკოლადის ბოლოს შუა ხმაში არის სოლ-ლა-ლა – უნდა იყოს სოლ-ლა-სი;

4. ფ. ქორიძე, პარტიტურა №1, გვ. 101, IV აკოლადის შუა ხმაში წერია ნოტები: ფა-სოლ-ფა-სოლ. შესწორებული სახით იხ. წინამდებარე კრებულში, გვ. 70, I აკოლადა

5. ფ. ქორიძე, პარტიტურა №1, გვ. 160, II აკოლადა: კადანსში ნოტა სოლის მაგიერ სი უნდა იყოს.

6. სადაც განაპირა ხმებში პარალელური სექსტები იყო, ყველგან გასწორდა.

მაგ.: ფ. ქორიძე, პარტიტურა №1, გვ. 13, I აკოლადა; გვ. 130, III-IV აკოლადის გადაბმა და სხვ.

შემოქმედის სკოლა

არტემ ერქომაიშვილის მიერ გადმოცემული საგალობლები

1966 წელს საქართველოს მაშინდელ ერთფეროვან ცხოვრებაში მოხდა ერთი უმნიშვნელვანესი რამ – კომუნისტური რეჟიმისა და საშინელი ზენოლის მიუხედავად გაბედულმა და ვაჟკაცმა ფოლკლორისტებმა: კახი როსებაშვილმა და კუკური ჭოხონელიძემ ბატონი გრიგოლ ჩხიკვაძის თაოსნობით, გარკვეული რისკის ფასად, გურიიდან ჩამოიყვანეს ეულად დარჩენილი მოხუცი მგალობელი არტემ ერქომაიშვილი და მისგან ჩაინერეს შემოქმედის სკოლის 102 საგალობელი, რითაც დიდი ეროვნული საქმე გაკეთდა.³ იმ დროს ამის მოხერხება უადრესად რთული იყო. გალობისთვის შესაძლო იყო ციხეშიც კი ჩაესვით კაცი. ბატონი კახი ჩემი მასწავლებელი იყო და ხშირად მიყვებოდა, თუ რამხელა წინააღმდეგობის დაძლევა და ჭიდილი მოუწია მას რეჟიმთან იმ ორი პატარა სანოტო კრებულისათვის, რომელიც არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით გამოსცა.⁴ დღეს ძნელი აღარაა იმის მიხვედრა, თუ რაოდენ დიდია ფასი თითოეული, კანტიკუნტად შემორჩენილი საგალობლის ძველი აუდიონიმუშისა და განსაკუთრებით არტემ ერქომაიშვილის მიერ დატოვებული აღნიშნული ჩანაწერისა – ერთადერთისა, რომლებშიც ამა თუ იმ საღმრთისმსახურო წესის საგალობლები ტიპიკონური თანამიმდევრობის დაცვითაა წარმოდგენილი.

ჟამთა სიავისა თუ ქართველთა დაუდევრობის გამო ძველ წერილობით წყაროებში, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება საკმარისი ისტორიული და თეორიული ნაშრომები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა დაგვეჩვენა ძველი ქართული ტრადიციული მუსიკის (საეკლესიო, ხალხური – მათ შორის საკრავიერი) განვითარების ერთიანი გზა. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველებს თავიდანვე არ გვეხერხებოდა საქართველოში არსებული ცოდნისა და გამოცდილების ქაღალდზე გადატანა, მათი დოკუმენტად ქცევა. ტრადიციული მუსიკის სფეროშიც ასე მოხდა. მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს მედლის მეორე მხარე, ანუ ჩვენამდე მოღწეული სანოტო და აუდიომასალა, რომელიც კომპლექსური შესწავლისა და ღრმა ანალიზის შედეგად გვაძლევს საშუალებას, ამოვხსნათ ჩვენ წინაშე არსებული მეტად რთული ამოცანები. დღევანდელ მსოფლიო ქრისტიანულ საეკლესიო მუსიკაში ყველაზე სახარბიელო მდგომარეობა ქართულ გალობას გააჩნია და აი რატომ: კათოლიკეებს ძველი, პაპი გრიგორისეული გალობა კი შემორჩათ, მაგრამ მათ დაკარგული აქვთ სწორი საშემსრულებლო მანერა და შესრულების ხერხები, რაც მუსიკალური ტექსტის დიდი დამახინჯებაა. რუსებმა დიდი ხანია საერთოდ უარი თქვეს ნამდვილ საეკლესიო მუსიკაზე (თუმცა მისი აღდგენის მცდელობები არის) და, შესაბამისად, დაკარგეს სწორი ინტონირებაც. მათი ღმრთისმსახურება კონცერტს ჰგავს. მართალია, ძველმონესეებს აქა-იქ შენარჩუნებული აქვთ ზნამენური გალობა, რომელიც XIV საუკუნეზე ადრინდელი არაა. გალობის საკითხი ყველაზე კარგად ბერძნულ ეკლესიაში დგას. ბერძნებს მაღალ დონეზე აქვთ დაყენებული გალობისა და ზოგადად ღმრთისმსახურების საქმე (განსაკუთრებით ათონზე), აქვთ სწორი ინტონირება, კილო და გალობენ ორიგინალური ბერძნული ბგარათნყოების მიხედვით. მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მათი ამჟამინდელი გალობა შედარებით ახალია – დაახლოებით XVII-XVIII საუკუნისა, ხოლო ძველი გალობა დაკარგული აქვთ. რაც შეეხება ქართულს, აქ შემორჩენილია უძველესი ჰანგებიც, რომლებშიც დაცულია გალობის უადრესი შრეები, დაწყებული ე. წ. უმარტივესი „სასწავლებელი ხმებიდან“ (ჩვენი ვარაუდით, დაახლ. VII-IX ს.ს.), დამთავრებული ხმათა გამშვენების ურთულესი სტადიებით. სახეზე გვაქვს ერთი და იმავე ჰანგების უმარტივესი, სადა გალობიდან ურთულეს, გამშვენებულ გალობამდე განვითარების გზა. ხოლო აქა-იქ შემორჩენილი ძველი აუდიოჩანაწერებიდან სავსებით შესაძლებელია სწორი საშემსრულებლო მანერის აღდგენაც, რომელზე მუშაობაც უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერები ამ და სხვა თვალსაზრისითაც დიდი მონაპოვარია ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის. ნამდვილად ღმრთის განგებაა, რომ არ განყდა ჯაჭვი წარსულის გამოცდილებასთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯაჭვი საკმაოდ დაჟანგული და გაცვეთილია.

3. კ. როსებაშვილმა არტემ ერქომაიშვილისგან გურიიშიც ჩაინერა საგალობლები, რომლებიც მის პირად არქივში ინახება.

4. ქართული გალობა (იმერულ-გურული კილო), თბილისი, 1968 წ.; ქართული გალობა (გურული კილო), თბილისი, 1976 წ.

არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერები (102 საგალობელი) სრული სახით დავით შულღიაშვილმა გაშიფრა. კრებულის სახით ორჯერ გამოიცა.⁵ გამოცემას თან ერთვის ანჩისხატის გუნდის აუდიოჩანაწერი.

არტემის ნაგალობევიდან წინამდებარე კრებულში შეტანილია მხოლოდ იოანე ოქროპირის წირვის საგალობლები. საინტერესოა, რომ არტემმა დაგვიტოვა წირვის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც იწყება „მრწამსიდან“. თავის დროზე ბატონი კახისთვის არ მიკითხავს, თუ რატომ ვერ მოხერხდა წირვის პირველი ნაწილის ჩაწერა. ძნელი დასაჯერებელია, არტემს არ სცოდნოდა, ვთქვათ, „წმიდაო ღმერთო“, „და ვითარცა“ ან წირვის სხვა რომელიმე საგალობელი. შესაძლოა, ამის გაკეთებას სამომავლოდ აპირებდნენ და ველარ მოახერხეს. ფაქტია, რომ შემოქმედის სკოლის წირვის პირველი ნაწილი არ მოგვეპოვება. აქედან გამომდინარე, დაიბადა იდეა აღნიშნული დანაკლისის შევსებისა – შემოქმედის სამონასტრო კილოს მიხედვით სხვა სამგალობლო სკოლის ნიმუშების სტილური ტრანსფორმაციისა (კანონიკის სრული დაცვით).

ჩვენამდე ასეთი სახით მოღწეული ქართული გალობის სრულყოფილად აღდგენა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში ქართული საეკლესიო ჰანგის აღდგენას გულისხმობს და ითვალისწინებს. მუშაობა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით უნდა წარიმართოს:

1. სწორი ინტონირების აღდგენა;
2. სამ ხმაში აზროვნების აღდგენა;
3. ქართული კილოური აზროვნების აღდგენა;
4. ქართული ბგერათნყოების აღდგენა;
5. სხვადასხვა სკოლებში არსებული დეფიციტის შევსება.

ყველა მიმართულება, რასაკვირველია, პრიორიტეტულია. ამჯერად ყურადღებას ბოლო პუნქტზე გავამახვილებთ.

ჩვენამდე ძირითადად მოაღწია ქართული გალობის სამმა სკოლამ: ქართლ-კახეთის, გელათისა და შემოქმედის სკოლებმა. ამ სკოლებში, თავის მხრივ, მოიაზრება ასევე სხვადასხვა კილოები. მაგალითად, გელათის სკოლა მოიცავს სადა, ნამდვილ და გამშვენებული კილოებს; ქართლ-კახური – სადას და გამშვენებულს. არსებული მასალის მიხედვით ყველაზე კარგი მდგომარეობა გელათის სკოლის გალობაშია – აქ ათასობით ნიმუშია შემორჩენილი. შემდეგ მოდის ქართლ-კახური. ყველაზე ცოტაა შემოქმედის სკოლის საგალობლები – მათი რიცხვი 150-ს ძლივს აღწევს.

ადრეც აღმინიშნავს და ახლაც ვიმეორებ, რომ მარტო სხვადასხვა სკოლებს შორის მსგავსებების დადგენით შორს ვერ წავალთ. უფრო საინტერესო და შედეგიანია მათ შორის არსებული განსხვავებები ვიკვლიოთ. ამისი შესწავლა კი შესაძლებლობას გვაძლევს, ცოდნა ავიმაღლოთ და სასურველ შედეგებს მივაღწიოთ.⁶

წარმოგიდგენთ სხვადასხვა სკოლებში არსებულ განმასხვავებელ ფაქტორებს, რომელთა შესწავლა და გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს, შევავსოთ ამა თუ იმ სკოლის საგალობელთა დღეისათვის გამქრალი ნიმუშებით გამოწვეული დანაკლისი:

1. განსხვავებული რიტმი;
2. განსხვავებული ტემპი;
3. მუსიკალურ ტექსტზე სიტყვიერი მარცვლების განაწილების არაერთგვაროვნება;
4. მოდულაციური განვითარების განსხვავებული გზები;
5. ხმაში მოცემული მუხლების აკინძვის არაერთგვაროვნება;
6. ხმათაშენწყობის განსხვავებული პრინციპები;
7. ხმათა განსხვავებული გამშვენება.

5. ქართული საეკლესიო გალობა, შემოქმედის სკოლა, თბილისი, 2002 წ.; ქართული საეკლესიო გალობა, თბილისი, 2006 წ.

6. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული გამოცდილება – გადატანილი მაქვს რამდენიმე საგალობელი სხვადასხვა სკოლების კილოში (იხ. ტრადიციული მრავალხმიანობის III საერთაშორისო სიმპოზიუმი (მოხსენებები), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 2006 წ.).

მიზნის წარმატებით მისაღწევად მკვლევარისთვის აუცილებელია ფლობდეს ყველა სამგალობლო სკოლის მუსიკალური მასალის პრაქტიკულ ცოდნას და აზროვნებდეს სამ ხმაში. აღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებით, გელათის სკოლის შესაბამისი ჰანგების მიხედვით შემოქმედის კილოში გადაყვანილია წირვის 7 საგალობელი: „მხოლოდ-შობილი“, „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“, „წმიდაო ღმერთო“ – I, „წმიდაო ღმერთო“ – II, „რომელნი ქერუბიმთა“, „და ვითარცა“ და „მამასა და ძესა“. კადნიერებაა, დიდოსტატ არტემ ერქომაიშვილის ვარიანტების გვერდით დააყენო შენეული, მაგრამ ადრე თუ გვიან ეს პროცესი მაინც უნდა დაიწყოს. თუ რა ღირებულებისაა ეს 7 საგალობელი, მსმენელისთვის მიმინდვია. ერთი კი მინდა ვთქვა, რომ საქმეს ზერელედ არ მოვკიდებივარ. და თუ რაიმე სათანადოდ ვერ არის, შენდობას ვითხოვ, ხოლო, თუ რამედ ღირს, ამას ჩემს დამსახურებად არ მივიჩნევ, ე. ი. ღმერთმა შემაძლევინა. საგალობლების ტრანსფორმირების დროს მართო შემოქმედის სკოლის არტემისეულ ვერსიას არ დავყვდნობივარ. ვიყენებდი, ასევე, არანაკლები ოსტატის, დიმიტრი პატარავას გამოცდილებასაც. მის მიერ გადმოცემული შემოქმედის სკოლის საეკლესიო და სალხინო საგალობლების 29 ნიმუში გამოქვეყნდა 2003 წელს.⁷ შემოქმედის კილოში შეგნებულად არ გადამიყვანია წართქმითი ფორმის ისეთი საგალობელი, როგორიცაა „აკურთხევს სული ჩემი“, ასევე მცირე ფორმის საგალობლები: კვერექსები, „უფალო, აცხოვნე“, „დიდება შენდა“, ნეტარებები. მცირე ფორმის საგალობლებში ნაკლებად ვლინდება ორ სკოლას შორის არსებული მნიშვნელოვანი კილოური განსხვავებები. დაინტერესებულებს შეუძლიათ ერთმანეთს შეადარონ არტემისა და ქორიძის მიერ ჩანერილი „წყალობა, მშვიდობა“, „გვაქვს უფლისა მიმართ“, „და სულისაცა“.

რაც შეეხება უშუალოდ არტემს. იგი იყო ძველი ქართული სამგალობლო სკოლის ბოლო და ღირსეული წარმომადგენელი, უნიკალური ცოდნის, ნიჭისა და მეხსიერების მქონე ადამიანი. ფრიად შთამბეჭდავი განცდაა, როდესაც წარმოიდგენ მართოდმართო დარჩენილ მოხუც მგალობელს, რომელიც მიკროფონთან დგას და ცალ-ცალი ხმების შეერთების გზით უტოვებს შთამომავლობას საუკუნეების ცოდნას, გალობს ურთულეს ნიმუშებს.

აქ არ შევუდგები არტემის მიერ გადმოცემული საგალობლების დეტალურ განხილვას. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ რასაც არტემი გალობს, ესაა ქართული გალობის გამშვენებული სტილის ბოლო ეტაპი როგორც მუსიკალური, ასევე ქრონოლოგიური თვალსაზრისით. შემოქმედის სკოლაში შესანიშნავადაა შერწყმული არქაული ფორმები შედარებით ახალ წარმონაქმნებთან, ანუ ის გზა, რომელიც გაიარა ქართულმა გალობამ ე. წ. „სასწავლებელი ხმებიდან“ ორი კვინტის პარალელიზმამდე. აქ გამოყენებულია ხმათა შეწყობის ყველა არსებული პრინციპი: კვინტოქტაკორდული (და არა პირიქით, კვარტოქტაკორდული, ვინაიდან ქართულ მუსიკაში ვაზროვნებთ ზემოდან ქვემოთ), ტერციული, ორი კვინტის პარალელიზმი და სხვ. „ქართული გალობის“ III ტომის წინასიტყვაობაში წარმოვადგინე ხმათა მოძრაობების განვითარების ჩემეული შეხედულება, რასაც აქ განმეორებით გთავაზობთ:

მაგ. №8:

ადრეული შუა საუკუნეები	შუა საუკუნეები	გვიანი შუა საუკუნეები	XVI-XVII საუკუნეები
ა)	ბ)	გ)	დ)
XVII-XVIII საუკუნეები		XVIII-XIX საუკუნეები	
ვ)	ზ)	თ)	

7. ქართული საეკლესიო და სალხინო საგალობლები (გურული კილო), თბილისი, 2003 წ.

რაც შეეხება საკუთრივ არტემის ნაგალობებს (აქ ვგულისხმობ მხოლოდ კრებულში შესულ მასალას), ზოგჯერ გვხვდება მცირედი უზუსტობები, რომლებიც აღნიშვნის ღირსი არცაა, გარდა ერთისა: „ღირს არს და მართალ“, „წმიდა არს, წმიდა არს“ და „შენ გიგალობთ“ ერთსა და იმავე ჰანგზეა და, შესაბამისად, ერთი და იგივე კილოში იგალობება. მათ შორის განსხვავება მხოლოდ საგალობლის „შენ გიგალობთ“ დასაწყისშია. არტემი პირველი ორი საგალობლის კადანსს სრულყოფილად ვერ ამთავრებს, სამაგიეროდ იმავე კადანსს სრულად ამბობს მესამე საგალობლის („შენ გიგალობთ“) ანალოგიურ ადგილას. დარწმუნებული ვარ, მას სურდა, ისევე ეთქვა კადანსი პირველ ორ საგალობელში, როგორც ამას უკვე შემდგომ ამბობს. უბრალოდ წინა ორ ჯერზე ტექნიკურად ვერ ახერხებს ამას.

არტემი გალობს ასე:
მაგ. №8



უნდა იყოს:
მაგ. №9



საგალობლებში კილოს დედნის განსაზღვრის საკითხი

ჩვენს ფოლკლორისტიკაში ყველაზე რთულად გადასაჭრელ და პირველად პრობლემას კილოს საკითხის გამორკვევა-დადგენა წარმოადგენს. კრებულზე მუშაობისას თავდაპირველად ჩაფიქრებული გვექონდა წიგნისთვის, ჩვეულებისამებრ, დაგვერთო რომელიმე სამგალობლო გუნდის აუდიოჩანაწერი. მაგრამ შემდეგ გაჩნდა იდეა ტემპერაციაში ხელოვნურად გადატანილი, ანუ თარგმნილი საგალობლების თავისთავად ბუნებრივ ბგერათნყოებაში გადაყვანისა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩატარებული დაკვირვებებისა და ექსპერიმენტის დონეზე არსებული პრაქტიკული გამოცდილების შედეგად, დიდი პაუზის შემდეგ, გაჩნდა მოთხოვნა და შესაძლებლობაც საგალობლების აუღერებისა ძველ ქართულ ბგერათნყოებაში, რომელსაც შეიძლება მეცნიერული სიზუსტის პრეტენზია გააჩნდეს.

ქართული მუსიკალური ბგერათნყოება ტრადიციული ქართული მუსიკალური ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომლის აღდგენა და საშემსრულებლო პრაქტიკაში დანერგვა მეტად საშური საქმეა. ვისაც სურს ნამდვილი ქართული გალობა-სიმღერა უკეთ და ღრმად შეიმეცნოს, მან აუცილებლად უნდა ისწრაფოს ქართულ ბგერათნყოებაში მღერისაკენ. კილოურად მდიდარი ქართული საეკლესიო მუსიკის მეცნიერული კვლევისას ორიგინალური ქართული ბგერათნყოების გაუთვალისწინებლობა ყოვლადდაუშვებელია. ის ნაშრომები, რომლებიც ეხება ქართული კილოს კვლევას ბგერათრიგების (მიქსოლიდიური, ფრიგიული, დორიული და სხვ.), ინტერვალიკის, აკორდიკის, კილოში საყრდენი ფუნქციის განსაზღვრის, მოდულაციების თვალსაზრისით, ან ის გავრცელებული აზრი, თითქოს ქართულ სიმღერას ახასიათებს პოლიკილობა, ხელახალ გადახედვას მოითხოვს. დღემდე გამოქვეყნებული არც ერთი ნაშრომი არ ეყრდნობა და არ ითვალისწინებს ორიგინალურ ქართულ ბგერათნყოებას, რომელიც ქართული კილოს საწყისი და ფუძეა. შესაბამისად, კანონზომიერებებიც სწორედ აქედან გამომდინარე უნდა დგინდებოდეს. ტემპერაციაში ხელოვნურად მოქცეული და ნათარგმნი სიმღერა-გალობიდან გამორიცხულია სწორად დადგინდეს ინტერვალიკა, აკორდიკა, ბგერათრიგები, რომლებშიც ვგულისხმობთ ე. წ. დორიულ, ფრიგიულ, მიქსოლიდიურ თუ სხვა კილოებს. ქართული ბგერათნყოების მიხედვით კილოს ზემოთჩამოთვლილი დასახელებები ვერანაირ როლს ვეღარ თამაშობენ. ისინი ამ შემთხვევაში კილოს განსაზღვრისათვის არა თუ გვეხმარებიან, პირიქით, ხელის შემშლელადაც კი გვევლინებიან, ვინაიდან ქართულ კილოებს დედანში სულ სხვა ინტერვალური სტრუქტურა გააჩნიათ. კილოები: დორიული, ფრიგიული, მიქსოლიდიური, ლიდიური და სხვ. ევროპულმა და, განსაკუთრებით, საბჭოთა მუსიკათმცოდნეობამ დაამკვიდრა და მიუსადაგა ტემპერირებულ ბგერათნყოებას. სინამდვილეში კი არავინ უწყის, რეალურად როგორ ჟღერდნენ ისინი ადრე. ასევე შეუძლებელია სწორად განსაზღვრო, თუ რაგვარად ხდება ქართულ მუსიკაში ნამდვილი მოდულაცია და სხვა. ეს ყველაფერი იმას ჰგავს, ძველი მადლიანი და მდიდარი ქართულიდან თარგმნი სახარება ახალ და ღარიბ ქართულზე და თარგმანის მიხედვით იმსჯელო ძველი ქართულის სიდიადეზე. ანუ ვერასოდეს გაიგებ უცხო ენის არსსა და ფასს, სანამ თვით იმ ენაზე არ ალაპარაკდები.

ქართული ბგერათნყოების დადგენაზე ვმუშაობ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან. იმ დროისათვის კვლევა-ძიებამ გარკვეული შედეგი გამოიღო. გურიელი მაღალპროფესიონალი მგალობელ-მომღერლების მიერ 1900-იან წლებში გალობა-სიმღერის აუდიოჩანაწერების მიხედვით დადგინდა გენერალური ბგერათნყოა, რომლის მიხედვით იჩენს თავს ე. წ. მცირე სრულყოფილი სისტემა. მისი განმსაზღვრელი და მამოძრავებელი არის ერთი დალმავალი ოთხბგერიანი რიგი, ანუ ტეტრაქორდი. საინტერესოა, რომ ოდესღაც ჩვენთვის სრულიად უცნობ, სულგანათლებულ ოსტატებს საფუძვლიანად უმუშავიათ კილოსა და ბგერათნყოების დადგენაზე. ვინაიდან ქართული მრავალხმიანობა, განსაკუთრებით საეკლესიო, აგებულია წმინდა ინტერვალების პარალელიზმზე, ტეტრაქორდი ისე გაუყვიათ ოთხ ნაწილად, რომ იგი მორგებულია ქართულ მრავალხმიანობას. რვასაფეხურიან კილოში ნებისმიერი საფეხურიდან აგებული წმინდა ინტერვალები, კერძოდ, კვარტები და კვინტები, არ კარგავენ თავის სტაბილურ ტონობრივ სიდიდეს, ანუ ნებისმიერ შეფარდებაში კვინტა ისე არ მცირდება, რომ ტრიტონი გახდეს და პირიქით, კვარტა ისე არ დიდდება, რომ ისიც ტრიტონს დაემსგავსოს. ძნელია იმისი თქმა, ჯერ ასეთი მუსიკალური მრავალხმიანობა ჩამოყალიბდა და შემდეგ შეიქმნა სისტემა თუ პირიქით – ჯერ სისტემა შეიქმნა და მერე მიესადაგა მას მრავალხმიანობა. შესაძლოა ერთდროულადაც კი ყალიბდებოდა. ორი იდენტური ტეტრაქორდის ერთმანეთთან შეერთების ორგვარი ხერხით მიიღება ერთი ძირითადი კილო-ბგერათარიგი, რომლიდანაც იწარმოება სხვადასხვა კილო, ხოლო სამი ერთგვაროვანი ტეტრაქორდის აკინძვით – მცირე სრულყოფილი სისტემა (იხ. წინამდებარე კრებულის დანართი, მაგ. №2).⁸ ჯერჯერობით არ შეგვიძლია იმის თქმა, თუ რომელი მუსიკალური ინსტრუმენტის მიხედვით ხდებოდა მოსწავლეთა სმენის მომართვა და ქართულად აწყობა, ბგერათნყობის ყურში ჩასმა, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, ქართული სოლფეჯიოს სწავლება (მაგალითად, ევროპულ სოლფეჯიოს ფორტეპიანოს მიხედვით ასწავლიან). შესაძლოა, ეს იყო ათძალი ან ებანი. იოანე ბატონიშვილი ახსენებს ჩონგურს. აღმოსავლეთ საქართველოში ფანდურსაც ჩონგურს უწოდებენ. სავარაუდოდ, ძველად სმენის გასავარჯიშებელ ინსტრუმენტს დანაყოფები, ანუ ფარდები უნდა ჰქონოდა. სწორედ ფანდურს აქვს დანაყოფები და იქნებ ამ საკრავსაც იყენებდნენ. ეს არის ვარაუდი. ამ ბგერათნყობის მიხედვით ნათლად ჩანს მაღლობელ-მომღერლების მიერ სხვადასხვა კილოებში აზროვნება, მათ მიერ ნამღერი კილოური თუ ტონალური მოდულაციები. ისინი სხვადასხვა საგალობლისა და სიმღერისათვის ერთსა და იმავე კილოებს (ბგერათარიგებს) არ მიმართავდნენ. ძველი მაღლობელ-მომღერლები კილოებს ერთმანეთისგან მკვეთრად მიჯნავდნენ და განასხვავებდნენ. ამას ჰქვია სწორედ კილოური აზროვნება. ამ ბგერათნყობის მიხედვით დგინდება სამგვარი სეკუნდა, ტერცია, კვარტა, კვინტა, სექსტა, სეპტიმა; განსხვავებული ტონობრივი შედგენილობის მქონე აკორდიკის მთელი სპექტრი. მხოლოდ ოქტავაა მყარი და ერთგვარი. დგინდება მოდულაციის ორი ძირითადი ფორმა – კილოური და ტონალური (თუმცა არსებობს მოდულაციის კიდევ ერთი სახე, რომელსაც პირობითად დინამიურს ვუწოდებთ და რომელიც მხოლოდ ხალხურ სიმღერებს ახასიათებს), სხვადასხვა⁹ გალობა-სიმღერისათვის სხვადასხვა კილოს (ბგერათარიგი) შერჩევის პრინციპი და სხვ.

დასაანანია, რომ თავის დროზე არავის მოაფიქრდა ძველი მაღლობელ-მომღერლებისაგან შესაბამისი ცოდნის მიღება. ვთქვათ, ეკითხათ მათთვის, ისინი თუ არა, მათი წინამორბედი ოსტატები რა ინსტრუმენტის მიხედვით წვრთნიდნენ სმენას; ან გალობისა და სიმღერის დროს რა კილოებს მიმართავდნენ და რა პრინციპით. დარწმუნებული ვარ, მათი პასუხი უაღრესად შედეგიანი იქნებოდა. ერთ-ერთ თავის სტატიაში ფ. ქორიძეც აღნიშნავს, რომ ძველი ნევმების გაშიფრვა (ამ საკითხს ძალზედ საინტერესოდ და შედეგიანად იკვლევს ზაალ წერეთელი) თუ ვინმეს სურს, ტყუილად ნუ წვალობს, ამას მხოლოდ ანტონ დუმბაძე და მისწრაფები თუ შეძლებენო. ანუ ასეთი საკვანძო საკითხების გადაჭრა ხელეწიფებათ მხოლოდ პროფესიული სკოლის წარმომადგენლებს, გალობა-სიმღერის ოსტატებს. მე სრულებით არ ვგულისხმობ იმას, თითქოს დღეს შეუძლებელი იყოს ან კილოს საკითხის გამორკვევა, ან ნევმების გაშიფრვა. ღმრთის შეწევნით ყველაფერია შესაძლებელი და ამ სიტყვებიდან გამომდინარე ჩანს პირადად ჩემი ოპტიმიზმიც. თუმცა რეალურად რომ განვსაჯოთ, იმ ცოდნის სრულად აღდგენა, რა ცოდნაც ჩვენს წინაპრებს ეპყრათ და იმ ძველად ნათქვამი გალობა-სიმღერის განმეორებაა შეუძლებელი!

8. მ. ერქვანიძე, ქართული მუსიკის წყობა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 1991 წ.

9. იგი ემოციური დატვირთვის ფონზე ტონუსის ზრდითაა გამოწვეული, რის შედეგადაც სიმღერა შესაძლოა გარკვეული ინტერვალთა მაღლა დამთავრდეს.

წლების განმავლობაში დაკვირვება არაერთგვაროვანი ინტენსივობით მიმდინარეობდა. ბოლო დროს ქართული კილოსა და ბგერათნაწყოების გამორკვევა-დადგენის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. გალობისა და სიმღერის ჩვენთან არსებული საშემსრულებლო დონე გარკვეულწილად ამაღლდა და, ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც მომზადდა ნიადაგი ქართული ბგერათნაწყოების მისაღებად.

მუსიკათმცოდნეობაში, კერძოდ, აკუსტიკაში არსებობს ზონური თეორიის ცნება. აღნიშნული თეორიის არსი ის არის, რომ ცოცხალი მუზიკირების პროცესში მომღერლები თავად ახდენენ ბგერათნაწობის კორექციას და ნებისთნეულ უნებლიეთ იბადება რაღაც წყობები. გარკვეული თვალსაზრისით ამ თეორიას ქართულ სინამდვილეშიც აქვს ადგილი, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ნაწილობრივ. იმ ფაქტს, რომ არსებობდა მეცნიერულად დადგენილი ბგერათნაწობები, რომელთა მიხედვითაც ხდებოდა სწორედ გალობისა და შემდგომ სიმღერის შესწავლა, ჩემი ღრმა რწმენით, მტკიცება არ სჭირდება. მარტივ შედარებას მოვიტან: ძველად საქართველოში, ისევე როგორც ყველას ვერ ხელეწიფებოდა წერა-კითხვისა და ცოდნა-განათლების მიღება, ასევე ყველას არ შეეძლო ტრადიციული მუსიკის პროფესიულ დონეზე შესწავლა. აქედან გამომდინარე, როდესაც გვინდა მეცნიერულად ვიკვლიოთ, ვთქვათ, ბგერათნაწობა, აუცილებლად უნდა დავეყრდნოთ პროფესიულად განსწავლული შემსრულებლების აუდიოჩანაწერს. ხოლო არაპროფესიონალი (გალობაში განუსწავლელი) კაცის თუნდაც ოსტატურად შესრულებულ ჩანაწერს თავისი დანიშნულება აქვს მეცნიერული კვლევისათვის – მხოლოდ ზონური პრინციპის დადგენის თვალსაზრისით. თუმცა ვინ იცის, შესაძლოა, აქაც დაფიქსირდეს ნამდვილი ბგერათნაწობები.

არტემი იყო პროფესიონალი მგალობელ-მომღერალი. მას მუსიკალური განათლება თავად მეღვინეებმა ნაკაშიძისგან ჰქონდა მიღებული. ამდენად, მას შეგვიძლია დავეყრდნოთ. ბგერათნაწობა 1900-ანი წლების პროფესიონალი მგალობლების აუდიოჩანაწერიდან დავადგინეთ. ამ ბგერათნაწობაში იგალობეს 40 წლის შემდგომ ვარლამ სიმონიშვილმა, დიმიტრი პატარავამ და არტემ ერქომაიშვილმა, როდესაც მათგან ჩაინერეს 11 საგალობელი, უმეტესად ძლისპირები. და ამავე ბგერათნაწობაში გალობს აქედან 17 წლის შემდეგ მარტო დარჩენილი არტემიც. კრებული ბოლოს, დანართში, რომელსაც თან ერთვის აუდიოჩანაწერი, თქვენ შეგიძლიათ ნახოთ და მოისმინოთ არტემის მიერ გადმოცემული შემოქმედის სკოლის რამდენიმე საგალობელი და ჩვენ მიერ შემოთავაზებული საგალობლების ბგერათნაწობის კომპიუტერული ვერსიები. ძველი ოსტატები, რასაკვირველია, ისედაც ქართულ წყობაში გალობენ და მღერიან. მთავარია, ჩვენთვის გახდეს საცნაური მათი ცოდნა.

ქართულ მცირე სრულყოფილ სისტემაში გვაქვს ტონალური მოდულაციით მიღებული ექვსი კილოტონალობა (რუს. ладоваяность): ფა, სოლ, ლა, სი, დო#, რე# კილოტონალობები (ქართულ გალობა-სიმღერაში საქმე გვაქვს მკაცრ დიატონიკასთან. ალტერაციით მიღებული წარმოებული ტონები აქ არ გვხვდება). ტონალური მოდულაციები, როგორც წესი, ხდება თანმიმდევრულად, თითო ტონით ზემოთ და ქვემოთ. შესაძლოა, საგალობელში მოხდეს რამდენიმე ტონალური მოდულაცია (უმეტესად ზევით). საგალობლის განვითარებამ ყველა არსებული ტონალობა რომ მოიცვას, ასეთი რამ არ ხდება. კილოური მოდულაციებიც, ასევე, თითო საფეხურით ხორციელდება (აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით). კილოური მოდულაციების შეგრძნება და განსაზღვრა საყრდენი ბგერების მეშვეობით ხდება. საყრდენი ბგერის ცვლილება გვიჩვენებს, თუ რომელ კილოში მოხდა გადასვლა, ანუ კილოური მოდულირება. ტონალური და კილოური მოდულაციების განსაზღვრა ზედა ხმის (ე. წ. „თქმის“) მიხედვით წარმოებს. სწორედ ზედა ხმით განისაზღვრება კილო და არა ქვედა ხმით. დანართის სანოტო მაგალითებში თვალსაჩინოებისთვის საგალობლები წარმოდგენილია ქართულ ბგერათნაწობაში, კონკრეტულად ფა ბგერიდან აგებული ბგერათრიგის მიხედვით. იქვე, მაგალითში №1 ქართული ბგერათრიგიც ფა ბგერიდანაა აგებული (ბგერათა სიმალეები აღნიშნულია ცენტრებით). წარმოდგენილ ბგერათრიგში უმნიშვნელოვანესია ძირითადი ტეტრაქორდი, რომელიც ფადან იწყება. ამ ტეტრაქორდის ინტერვალური სტრუქტურა ქართული კილოური აზროვნების საფუძველია. მრავალფეროვანი, ახალი კილოები სწორედ ამ მაკოორდინებელი ფა ბგერათრიგის მიხედვით წარმოიქმნებიან (მაგალითად, კილო მიხ, კილო რე და ა. შ.). ქართულ საგალობლებში სწორედ ამ კილოებში ხდება მოდულაციები, რასაც კილოურ მოდულაციებს ვუწოდებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ფა კილოტონალობის

ფარგლებში შესაძლოა განხორციელდეს კილოური მოდულაციები, მაგალითად, ფადან მიხ-ში, მიდან რეში, დოდან რეში, მიდან ფაში, ფადან სოლში და ა. შ. რადგან ფა კილოტონალობაში ვართ, აუცილებელი არ არის, საგალობელიც ფა კილოდან დაიწყოს ან ფაში დამთავრდეს. შესაძლოა დაიწყოს დოდან, შემდეგ გაიაროს რე, ავიდეს მიხ კილოში. ისიც კი დასაშვებია, რომ ფა კილო საერთოდ არ გამოჩნდეს, როგორც ეს ხდება შემოქმედის სკოლის „მამაო ჩვენოში“. კილოტონალობას განსაზღვრავს ძირითადი მაკოორდინირებული ტეტრაქორდი, რომელსაც ბოლო ბგერაზე ებმის იგივე ტეტრაქორდი. ფა კილოტონალობას ნიმუშად ვიღებთ ოპტიმალურობის პრინციპიდან გამომდინარე (რეგისტრი, სანოტო თვალსაჩინოება). იგი ფადან იწყება და სწორედ ეს განსაზღვრავს ფა კილოტონალობის აღქმას (ბერძნულ გალობაში სულ სხვა სურათს ვხედავთ: აქ ხმა - ჰანგი გაიგივებულია კონკრეტულ მუსიკალურ კილოსთან). კილოურ აზროვნებაში მაჟორ-მინორისგან სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს. აქ ტონიკა მაჟორ-მინორის გაგებით არ არსებობს. აქ არსებობს მხოლოდ კილოტონალობის შეგრძნება. კილოური აზროვნება გვთავაზობს ერთგვარ თავისუფლებას. მაგალითად, აუცილებლობას არ წარმოადგენს არსებობდეს სიმალღებრივად ერთი, ზუსტად ფიქსირებული სანყისი და დამაბოლოვებელი ბგერა. გამშვენების დროს შეგვიძლია ერთი კილოდან მეორე კილოში გადავიდეთ ან არც გადავიდეთ, შეგვიძლია გამოვიყენოთ ტონალური მოდულაცია ან სრულებით არ მივმართოთ მას (რასაკვირველია, ეს ხდება გარკვეულ საზღვრებში). მაგალითისთვის შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს სადა და გამშვენებული კილოს „რომელნი ქერუბიმთა“. კილოური თვალსაზრისით, არსებობს მარტივი (ერთი კილოს ფარგლებში მოცემული), საშუალო (ორ კილოში წარმოდგენილი შესაძლო ტონალური მოდულაციითაც კი) და რთული (სამი და მეტი კილოს შემცველი) საგალობლები, რომლებშიც გარდა კილოურისა, ხდება ასევე ტონალური მოდულაციები. „შინფარდი იხმარება კილოს სიმშვენიერისთვისო“, – ამბობს იოანე ბატონიშვილი. ძველი ოსტატები კილოურად აზროვნებდნენ. მათ სრულებით არ უჭირდათ სხვადასხვა კილოში მღერა და მათი აღქმა. ეს იყო მათთვის ნორმა და რეალობა. ჩვენთვის არის რთული დაქვეითებული ქართული სმენის ხელახლა გადანყობა ჩვენივე ტრადიციულ სისტემაზე, ჩვენი ყურის ხელახლა ქართულად მომართვა. ჩვენ სხვა, უცხო მუსიკალურ აზროვნებაზე გავიზარდეთ და ახლა უკვე გვიჭირს უკან დაბრუნება, საკუთარის მიღება. სხვათა შორის, თავის დროზე ქართველმა ხალხმა ძალიან იოლად გაითავისა ევროპული მუსიკა. ასეთი მაღალი მუსიკალური აზროვნების შემდგომ მას აღარ გასჭირვებია ევროპული მუსიკის მიღება და აღქმა.

ქართული კილოები ზემოდან ქვემოთ მოემართებიან. კილოს საყრდენი ფუნქციის განსაზღვრაც ხდება არა ბანის, არამედ ზედა ხმის მიხედვით. ხმების შეწყობის პრინციპიც ზემოდან მომდინარეობს. ჯერ ისწავლება ზედა ხმა, შემდეგ კი – მეორე და ბანი (უფრო ძველი, ტრადიციული მეთოდი პირველ ხმასთან მეორისა და ბანის შეწყობის პრინციპების ათვისება იყო). აქ მეორე ხმას შეგნებულად არ ვუწოდებ მოძახილს, რადგან ხალხურ სიმღერაში მოძახილი შესაძლოა მთქმელზე მაღლა იდგეს. მაგალითად, გამყივანი ან კრიმანჭული ფუნქციით მოძახილია და ამავე დროს რეგისტრულად მთქმელზე მაღლა დგას).

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩვენი უმთავრესი და სამომავლო ამოცანაა კილოების დადგენის პრინციპის გამოძიება, ანუ სისტემის პოვნა. ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება, თუ ღმრთის შეწყენა იქნა და ჩვენმა უძებებამ არ შეგვიშალა ხელი. ახლა ჩვენი უმთავრესი ამოცანაა გამოვიკვლიოთ საგალობლებსა და სიმღერებში კონკრეტულ შემთხვევებში რა და რა კილოები იხმარება და რა სისტემით. ამჯერად გთავაზობთ პირველ შედეგებს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თვალსაჩინოებისთვის ყველა საგალობელი ერთ კილოტონალობაშია მოცემული.¹⁰ აღდგენილია რამდენიმე საგალობლის კილო-დედანი,

10. კომპიუტერული უზრუნველყოფისათვის მინდა მადლობა გადაუხადო ლევან ვეშაპიძეს და ზაალ წერეთელს. ლევან ვეშაპიძემ დიდი დახმარება გამიწია საგალობლების ტექნიკურად გადანყობაში.

მაგალითად, ფა კილოტონალობაში რომელი ბგერებიდან იწყება, როგორ ვითარდება და სად მთავრდება აქ წარმოდგენილი საგალობლები. ანალიზი გაკეთდა არტემ ერქომაიშვილის ნაგალობლებზე, რომელიც ლოგიკურად ჩაჯდა ჩვენ მიერ ადრე დადგენილ ბგერათნწყობაში. როგორც ხედავთ, სანოტო ნიმუშებს გასაღებში პირობითად უზის ალტერაციის მხოლოდ ორი ნიშანი ხ-ების სახით, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ფა კილოტონალობაში ვიმყოფებით. რადგანაც ფადან წარმოებულ დაღმავალ ტეტრაქორდში მიხ მაღალია, რე კი – დაბალი; შესაბამისად, სიხ – მაღალი და ლა – დაბალი; ფასთან დო ჟღერს წმინდა კვარტაში და დოსთან სოლიც ასევე წმინდა კვარტაში, – ამდენად უპრიანია, მხოლოდ თვალსაჩინოებისთვის, დავწეროთ 2 ხ (ამის შესახებ იხ. კრებული ბოლოს, დანართში). თავდაპირველად გთავაზობთ ბგერათნწყობის ჟღერადობას, შემდეგ არტემის ჩანაწერს და ბოლოს უკვე მთლიანი საგალობლის კომპიუტერულ ვერსიას.

კილოური მოდულაციები ყველა საგალობელში ხდება. მხოლოდ „ღირს არსში“ არის ტონალური მოდულაცია. იგი გამოყოფილია ალტერაციის ნიშნებით, რომელიც მიგვითითებს, რომ საგალობელში ტონალური მოდულაცია მოხდა ფა კილოტონალობიდან მთელი ტონით ზევით (200 ცენტი) – სოლ კილოტონალობაში, რომელიც უნიშნოდაა წარმოდგენილი. ფა-მიხ-რე-დო ფა კილოტონალობისათვის იგივეა, რაც სოლ-ფა-მი-რესოლ კილოტონალობისათვის. როგორც წესი, ტონალური მოდულაციის დროს მხოლოდ ერთი ბგერა რჩება საერთო, დანარჩენი განსხვავებულია. ამ ორ ტონალობას ერთი საერთო ბგერა გააჩნია – ეს არის სოლ. ჩანაწერში (განსაკუთრებით კომპიუტერულ ვერსიაში) მივაქციეთ ყურადღება იმას, რომ გარდა სოლ ბგერისა, ორი ტონალობის ბგერათა შორის მანძილები (ფა – ფა, მიხ – მი, რე – რე, დო – დო, და ა. შ.) დაახლოებით მეექვსედი და მეხუთედი ტონებია – 30-40 ცენტი. საინტერესოა, რომ ტონალური მოდულაცია პრინციპულად სოლ ბგერიდან ხდება ერთი ტონით მაღლა. ეს შემთხვევითი არაა – ეს გახლავთ ტონალური მოდულაციის კლასიკური მაგალითი, რაც ლოგიკურია და მეცნიერული თვალსაზრისითაც უაღრესად საინტერესო. თუმცა ტონალური მოდულაციის სხვა გზაც არსებობს.

შესაძლოა, ამ ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში ზოგი რამ საკამათო იყოს. ამას დრო გამოაჩენს.

* * * * *

რა შეიძლება ითქვას ამ ორი სკოლის გალობის ესთეტიკურ მხარეზე? ძნელია გამოხატო ის ქება, რასაც ამ ორი სკოლის გალობა იმსახურებს:

გელათის გალობა – მრავალფეროვანი, სრულქმნილი, მუსიკალურად და სულიერად დატვირთული, დარდის განმქარვებელი, სასოების მომნიჭებელი, სიხარულის მომცველი, ღმრთის მადიდებელი, სარწმუნოებაში განმამტკიცებელი. აქ არის ხმათა მოძრაობის უიშვიათესი ფორმები. კარგად დააკვირდით 52-ე გვერდის ბოლო აკოლადას. ესაა ნამდვილი ქართული მუსიკა. ერთი შეხედვით რუსულს მოგაგონებს, მაგრამ აქ არის ქართული დაბალი ბანი, ანუ დვრინი, რომელზეც XIX საუკუნის ქართული პრესა წერს, რომ რუსებმა ჩვენგან წაიღესო. დააკვირდით 106-ე გვერდზე II აკოლადას, სადაც ერთგან 5 ხმა ჟღერს. ესაა, ძვირფასო მეგობრებო, ქართული ექვსხმიანობის ნიმუში, რომლის შესახებაც ნახსენებია იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“. აქ, მართალია, ერთი ხმა აკლია, მაგრამ მისი პოვნა ძნელი არ უნდა იყოს. ექვსხმიანობას მიმართავდნენ განსაკუთრებით ნირვა-ლოცვის საზეიმო მომენტებში: „დიდება მაღალიანის“, „განიცადეს“ და მსგავს შემთხვევებში. ქართული საეკლესიო მრავალხმიანობა თავისი სააზროვნო კატეგორიით მყარად სამხმიანია. ეჭვგარეშეა, ექვსხმიანობა ძირითადად წარმოადგენდა ხმათა კვინტურ და ოქტავურ გაორმაგებებს, რომლის დროსაც შიგადაშიგ იქნებოდა გარკვეული მოძრაობები, რასაც ქორიდის პარტიტურაშიც ვხედავთ.

მაგ. №11 (იხ. ფ. ქორიდე, პარტიტურა №1, გვ. 153, I აკოლადა):



ახლა გთავაზობთ, თუ როგორ შეიძლება დაახლოებით ეჟღერა მეექვსე დამატებულ ხმას.
მაგ. №11 (დედანი იხ. წინამდებარე კრებულში, გვ. 106, II აკოლადა):



აიღეთ იოანე ოქროპირის ტროპარი. დაინტერესებულ მაგლობლებს შეუძლიათ შეადარონ ერთმანეთს სადა კილოს VIII ხმის რომელიმე ტროპარი ზემოთ აღნიშნულს და ნახონ, როგორი მუსიკალური ხორცშესხმა ხდება, თუ რა უნიკალურ გამშვენებით ფორმებს გვთავაზობენ ან განსვენებული მაგლობლები: ქართველი ღმრთივსულიერი და გენიალური მუსიკოსები. ღმერთმა დაუმკვიდროს ყველა მათგანს ცათა საუფეველი. განა ასეთი სრულყოფილება იოლადმიღწევადი იყო, მითუმეტეს საქართველოს ავბედითი ისტორიის მანძილზე?! რა ნაშრომი, რა ნაფიქრი, რა ნაღვანი! აი ვისზე უნდა იყოს სწორება! აი ვისით უნდა ამაყობდეს ჩვენი ერი!

შემოქმედის სკოლა – დინჯი, მოაზროვნე, ღრმად სულიერი, სრულქმნილი, უნიკალური. გელათი უფრო მრავალფეროვანია, მაგრამ სამაგიეროდ აქ ერთმანეთს ერწყმის არქაულობა და შედარებით ახალი სტილი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მოკლედ, რასაც სულიერი სიხარული ჰქვია, ესაა გელათისა და შემოქმედის გალობა.

დღეს კი უაღრესად აქტუალურია, უფრო მეტად მათი შესრულების ხარისხზე ვიზრუნოთ. მაგლობელი მრავალმხრივ უნდა იყოს შემკული – ნათელი გონებით, სუფთა გულითა და სულით, განსწავლულობით, სწორი საშემსრულებლო მანერით. ღმრთისმსახურების დროს ყველა ამ თვისებით უნდა იყოს იგი აღჭურვილი. გალობის დროს პირველ რიგში მან ლოცვის ტექსტი უნდა გაიაზროს, ანუ ილოცოს. კარგი მაგლობელი ნოტების მიღმაც უნდა იხედებოდეს. მას დაახლოებით უნდა შეეძლოს წარმოდგენა, თუ როგორი ღვთისმსახურება იქნებოდა ძველად საქართველოში. ცალი თვალით შეიჭვრიტოს და ყური დაუგდოს გელათისა და შემოქმედის ტაძრებში მდგომი ძველი ოსტატების გალობას და მათგან აიღოს მაგალითი იმისა, თუ ვითარ ჯერ არს ღმრთისმსახურება და როგორ შეშვენის ადამიანს გალობა, რომელსაც ღმერთი შეინირავს.

მალხაზ ერქვანიძე

INTRODUCTION

This chant collection, Vol. VI of the series *Kartuli Galoba* (Georgian Church Chant), contains a selection of *gamshvenebuli kilo* ('colorful mode') chant for the Liturgy of St. John of Chrysostom, and is compiled from the repertoires of the Gelati and Shemokmedi Monastery chant schools.¹ Part 1 represents chant from the Gelati Monastery tradition, and has been compiled from publications of Pilimon Koridze's chant transcriptions at the end of the 19th century.² Koridze worked with the singers Anton Dumbadze, Dimitri Chalaganidze, Ivliane Tsereteli, Razhden Khundadze, Melkisedek Nakashidze, and Nestor Kontridze, all of whom were considered expert chanters in their time. Part 2 represents chant from the Shemokmedi Monastery³ chant school tradition, as recorded by Artem Erkomaishvili and others.

The process of reconstructing the ancient Georgian chant tradition demands research in several important areas in order to facilitate a renewed performance practice of this important heritage. Several key areas will require special attention in order to accomplish this goal, including:

1. Restoration of Georgian chant melodies
2. Restoration of the correct chant intonation
3. Restoration of 'polyphonic consciousness;' i.e. the ability to think in three-part harmony
4. Restoration of Georgian modal theory and practice
5. Restoration of the Georgian tuning system
6. Compensating for missing repertoire in certain chant school traditions through comparative chant analysis and reconstruction

Three regional styles of church chant have been preserved through oral tradition and the preservation movement at the end of the 19th century. These include the Kartl-Kakhetian school in eastern Georgia, the Gelati Monastery school in west-central Georgia, and the Shemokmedi Monastery school in western Georgia.⁴ Several levels of chant complexity exist in each of these regions; for example, both *sada kilo* (plain mode) and *gamshvenebuli kilo* (colorful mode) chants have been preserved in the Kartl-Kakhetian region, while chants from the Gelati Monastery repertoire include examples of these two styles as well as an intermediate level called *namdvili kilo* (simple-true mode).⁵ Examples of these three styles are most plentiful in the repertoire from

1. For more information on Georgian chant, see the prefaces to Volumes II and IV of this series, translated by Maia Kachkachishvili and John A. Graham. All footnotes added by John A. Graham and approved by the author.

2. Pilimon Koridze (1835-1911), a famous opera singer, spent the last thirty years of his life transcribing nearly five thousand chants into western five-line staff notation. In order to save time, only the first voice melodies were transcribed for at least one thousand of these samples, as the second and third voice parts were considered to be implicit. Through comparative chant analysis, it has been possible to reconstruct many of these melodies in three voices.

3. The Shemokmedi Monastery is located in the coastal hills along the eastern Black Sea coast near the current Georgian-Turkish border, a location that made it vulnerable to repeated attack between the 16th-19th centuries. The Gelati Monastery lies less than a hundred kilometers inland, just outside the ancient city of Kutaisi.

4. This series, edited by Malkhaz Erkvanidze, includes chant from the Gelati Monastery (Volumes I, II, and IV; 2000-2006), and chant from the eastern Georgian Kartl-Kakhetian school (Vol III, 2004). The Shemokmedi Monastery chant school repertoire is represented in print through a finely presented volume of transcriptions from the Artem Erkomaishvili archive at the Tbilisi V. Sarajishvili State Conservatoire; see David Shugliashvili, *Kartuli Saeklesio Galoba, Shemokmedis Skola* ("Georgian Church Hymns, Shemokmedi School"), Published by the International Center for Georgian Folk Songs, and the Tbilisi V. Sarajishvili State Conservatoire, 2nd Edition, Tbilisi, 2006.

